საქართველოს მთავრობის

დადგენილება №348

2022 წლის 4 ივლისი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/09/2018, 300160070.10.003.020788) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქონლის ან/და პროდუქტის შეფუთვისთვის გათვალისწინებულ პლასტიკის პარკებზე, როდესაც პლასტიკის პარკი გამოიყენება მწარმოებლიდან მომხმარებლამდე ჯაჭვში, როგორც ნედლეულის, ასევე დამუშავებული პროდუქტის შესაფუთად, დასაცავად, გადასატანად, მისაწოდებლად და მისი მოცილება უშუალოდ ნედლეულის/პროდუქტის მოხმარების დროს ხდება (გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 მუხლის პირველი, 2^1, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებებისა);“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) არანაკლებ 50 მიკრონი სისქისა და ამავე დროს არანაკლებ 45X100 სმ ზომის (იმ შემთხვევაში, თუ პარკს აქვს ჩასაკეც(ებ)ი, პარკი იზომება ჩაკეცილ მდგომარეობაში) პლასტიკის პარკებზე (გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 მუხლის პირველი, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებებისა);“;

გ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) პოლიპროპილენის ძაფისგან მოქსოვილ პარკებზე (ტომრებზე, ჩანთებზე);“;

დ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მუნიციპალური ნარჩენებისთვის (ნაგვისთვის) განკუთვნილ პლასტიკის პარკებზე (გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული დებულებებისა).“.

2. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები:

„ვ) **შეფუთვისათვის განკუთვნილი პლასტიკის პარკი** – ნებისმიერი ზომისა და სისქის პლასტიკის პარკი, ხელსაკიდის გარეშე, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-6 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ზ) **მუნიციპალური ნარჩენებისთვის (ნაგვისთვის) განკუთვნილი პლასტიკის პარკი** – ნებისმიერი ზომისა და სისქის პლასტიკის პარკი, ხელსაკიდის გარეშე, თასმით ან უთასმოდ, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-6 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.“.

3. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

„2^1. შეფუთვისათვის განკუთვნილ პლასტიკის პარკზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად, ასევე დატანილი უნდა იყოს: საქონლის ან პროდუქტის დასახელება, რის შესაფუთადაც არის განკუთვნილი პარკი ან/და შესაბამისი საქონლის ან პროდუქტის სასაქონლო ნიშანი, ასევე შეფუთვისათვის განკუთვნილი პლასტიკის პარკის დამკვეთი (საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით).

2^2. მუნიციპალური ნარჩენებისთვის (ნაგვისთვის) განკუთვნილ პლასტიკის პარკზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად, ასევე ქართულ ენაზე დატანილი უნდა იყოს წარწერა – „ნარჩენებისთვის“.“.

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა, მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2^2 პუნქტისა, ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან.
2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „ზ“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2^2 პუნქტი ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**